სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 28

2016 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის“ (CNRS PICS) 2015 წლის კონკურსის შედეგად დაფინანდებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ნიკოლოზ ბაქრაძის 2016 წლის 18 თებერვლის N155413 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის“ (CNRS PICS) 2015 წლის კონკურსის შედეგად დაფინანდებული პროექტის წარმდგენებმა საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2016 წლის 26 თებერვლის 17:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) პროექტის ხელმძღვანელის მიერ გახსნილი მიზნობრივი ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ);
   ბ) პროექტის სამეცნიერო ხელმძრვანელის და პროექტში მონაწილე ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სრული ასლები;
   გ) პროექტის და პროექტის ბიუჯეტის ქართული თარგმანი.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 29 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თეა მჟავანაძეს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანაე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი